საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №301/ნ

2007 წლის 19 ოქტომბერი
ქ. თბილისი

1990 წელს არჩეული უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრებისათვის კომპენსაციის გაცემის გრაფიკის დამტკიცების თაობაზე

,,სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 37^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს 1990 წელს არჩეული უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრებისათვის კომპენსაციის გაცემის თანდართული გრაფიკი (დანართი №1).
2. წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა განხორციელდეს 2008-2009 წლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული ასიგნებებიდან. ამასთან,

ა) 2002-2003 წლების საკომპენსაციო თანხები გაიცეს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებიდან;

ბ) 2004-2005 წლების საკომპენსაციო თანხები გაიცეს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებიდან.

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დ. ტყეშელაშვილი

დანართი №1

1990 წელს არჩეული ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრებისათვის კომპენსაციის გაცემის გრაფიკი

მიმღებ პირთა რაოდენობა	2008 წელს გასაცემი თანხის ოდენობა	2009 წელს გასაცემი თანხის ოდენობა	სულ
33 პირი	312 490.18	70 514.33	383 004.51